

წიგნი და საბუკარი

№11 იანვარი-თებერვალი 2011 წელი

საინფორმაციო ჟურნალი ღირს 1.50ლარი

ვაჩუქოთ უჩუქანეთს წიგნები



www.bookland.ge

სარჩევი

აქტუალური 2010 წელი	გვ.4
წიგნის დღეები რეგიონებში	გვ.5, გვ.6
ახალი	გვ.7,8,9, 11,18,19, 30,31,32,33
ლიტერატურა „ნერო“ დაბრუნდა	გვ.10, გვ.11
პარტნიორი „ბიმბო“	გვ.13
წლის ბესტსელერი	გვ.14, გვ.15
საგამომცემლო სახლი „ლაბირინთი“ 	გვ.16, გვ.17
ხელმოწერები	გვ.22, გვ.23
საახალწლო კატალოგი	გვ.24, გვ.25
სტუმარი პაატა სირბილაძე	გვ.26, გვ.27 გვ.34
პროექტი New York Times	გვ.28, გვ.29

საგამომცემლო სახლი „წიგნის სამყარო“

რედაქტორი ზვიად სეზისკვერაძე, სტილისტ კორექტორი თამთა გრიგოლია, ტექნიკური რედაქტორი დავით გვირიშვილი, დაკაბადონება და გარეკანის დიზაინი ზურა სეზისკვერაძე, რეკლამის და PR მენეჯერი ვერიკო ჭელიძე
ტელ/ფაქსი: (822) 61-41-21 ელ-ფოსტა: press@bookland.ge

საგაბიბლიოთეკო სახლი „ლიბრისი“



სიახლე იანვრიდან!



რომანმა „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ ერის მარია რემარკს (1898-1970) უდიდესი პოპულარობა და მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

რომანში აღწერილია პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მოვლენები, რომლის მონაწილეც ავტორი თავად იყო.

რომანში შექმნილი რეალური ომის ატმოსფერო მკვეთრად გამოირჩეოდა და უპირისპირდებოდა იმ დროისთვის დამკვიდრებულ ჰეროიკულ ლიტერატურას.

წიგნების შესაძენად დარეკეთ:
61-41-21; 18-41-21 ან ეწვიეთ
ინტერნეტ-მაღაზიას
www.bookland.ge

წიგნები, რომლებმაც უკვე გააძლიერა მკითხველის ბიბლიოთეკა



ალექსანდრე დიუმას (შვილი) რომანი „ქალი კამელიებით“ აღწერს ახალგაზრდა კურტიზანის, მარგარიტა გოტიეს ტრაგიკულ ცხოვრებას. ამ პერსონაჟის შექმნა მწერალს შთააგონა ულამაზეს კურტიზან ქალთან, მარი დიუპლესისთან შეხვედრამ, რომელსაც მთელი პარიზი ეთაყვანებოდა და რომელთან ურთიერთობის საშუალებაც მწერალს არ ჰქონდა, ვინაიდან საკმარისად მდიდარი არ იყო.



„შუანები, ანუ ბრეტანი 1799 წელს“ ბალზაკის პირველი რომანია, რომელიც 1829 წელს სათაურით „უკანასკნელი შუანი, ანუ ბრეტანი 1799 წელს“ გამოიცა. ნაწარმოებში ასახულია XVIII საუკუნის საფრანგეთის ისტორიული ვითარება, ბრძოლა რესპუბლიკელებსა და როიალისტებს შორის. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები მოწინააღმდეგე მხარეების წამომადგენლები არიან. მათ შეუწყვარდებათ ერთმანეთი, თუმცა, საბოლოოდ, მათი სიყვარულიცა და სიცოცხლეც ინტრიგების მსხვერპლი ხდება.

მარკ ტვენო
მოთხრობები



მარკ ტვენი არის ავტორი მრავალი მოთხრობისა, რომელთა ზუსტი რაოდენობა დღემდე არაა დადგენილი, ვინაიდან ჟურნალ-გაზეთებში ხშირად განსხვავებული ფსევდონიმებით აქვეყნებდა. უილიამ ფოლკნერი მას „ამერიკული ლიტერატურის მამას“ უწოდებდა. ერნესტ ჰემინგუეი წერდა: „მთელი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა მოდის მარკ ტვენის ერთი წიგნიდან, რომელსაც ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი ჰქვია“.

www.labybooks.ge



კომპანიის სახელით მადლობას მოგახსენებთ თქვენი აქტიურობის, გულთბილი წერილებისა და გამოხმაურებებისათვის, რომელთაც, თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად, 2010 წელსაც ვითვა-ლისწინებდით.

„წიგნის სამყარო“ გასულ წელსაც გამოირჩეოდა ნოვატორული იდეებით. ვფიქრობთ, საინტერესოა რამდენიმე მათგანის ერთგული მკითხველისათვის გაცნობა.

საინტერესო გახლდათ პროექტი „წიგნის დღეები საქართველოს რეგიონებში“. რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და რესურსცენტრების მხარდაჭერით განხორციელდა. ამ დახმარებისთვის მათ კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას. პროექტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რის გამოც მომდევნო წელს უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდება.

ვაგრძელებთ წიგნის ახალი მალაზიების წახალისების პროგრამას. წელს გორის მალაზიამ ჩვენი დახმარებით გახსნიდან ექვს თვეში დიდ წარმატებას მიაღწია. მათ უკვე ჰყავთ ერთგული მყიდველი.

მოგეხსენებათ, რომ 2009 წელს ჩვენი თაოსნობით დაიწყო ლიტერატურული კონკურსი „წიგნი და სამყარო“, რომელიც 2010 წელს შეუერთდა ლიტერატურულ კონკურსს „წერო“ და მისი გენერალური სპონსორი გახდა.



წიგნის სამყარო აქტიურად ჩაერთო გოეთეს ინსტიტუტის პროგრამაში: „საგამომცემლო საქმის სპეციალისტების კვალი-ფიკაციის ამაღლება“. პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მივიღეთ მოსკოვის წიგნის საერთაშორისო ფესტივალსა და სემინარებში, რომელიც მოსკოვის გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა. აღნიშნული სემინარები მოიცავდა ვებ გვერდთან დაკავშირებულ უამრავ სიანხლეს, რომელთაც 2011 წლიდან ჩვენს ინტერნეტ-მომხმარებელს შევთავაზებთ.

ჩვენთვის დაუვიწყარი იყო დიდიმის ბავშვთა სახლში სტუმრობა. ჩვენი 5 წლის იუბილე, 5 მარტს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან ერთად აღვნიშნეთ.

წლევანდელი პროექტებიდან, შეფასების თვალსაზრისით, მინდა კიდევ ერთი მათგანი გამოვყო. ჩვენს დედაქალაქს შეემატა ერთი ლამაზი და მომსახურების მაღალი დონით გამორჩეული წიგნის მალაზია „ლიბრა“, რომელიც ჰიპერმარკეტ „გუდვილში“ გაიხსნა.

2010 წელი საკმაოდ რთული, დატვირთული და საინტერესო იყო. ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას ახალი მიმართულებებით, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ჩვენი მიზანი ხომ საზოგადოების სამსახურში ყოფნაა!

ყველა ჩვენს მკითხველსა და პარტნიორს ბედნიერ და წარმატებულ წელს ვუსურვებთ.



კომერციული სამსახურის უფროსი ნათია ჩარეკიშვილი

2009 წლიდან კომპანია „წიგნის სამყარო“ საფუძველი ჩაუყარა პროექტს „წიგნის დღეები საქართველოს რეგიონებში“. პროექტის მხარდამჭერები ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და რესურსცენტრებია.

ბოლო პერიოდში გაიზარდა მოთხოვნა ახალ გამოცემებზე, რაზეც ჩვენი ინტერნეტ-მაღაზიის გაყიდვებიც შეტყვევლებს. წიგნების გაყიდვების უმეტესი წილი სწორედ რეგიონებზე მოდის. პროექტი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში განხორციელდა: თელავი, ბორჯომი, რუსთავი და ა.შ. ჩვენდა სასიხარულოდ, წიგნის დღეებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც მკითხველების, ასევე წიგნით მოვაჭრეების მხრიდან, ადგილობრივ მკითხველებს შესაძლებლობა მიეცათ ფასდაკლებით შეეძინათ წიგნები, და ამასთან, თითოეულ შენაძენზე კიდევ ერთი წიგნი საჩუქრად მიეღოთ. პროექტი გააშუქდა ადგილობრივი მედიის საშუალებით.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან



თელავი 2010

და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან შეთანხმებით, რომ ეს პროექტი ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად ჩატარდება. ამ ტრადიციას პირველად საფუძველი ქალაქ თელავში ჩაეყარა. გაფორმდა მემორანდუმი „წიგნის სამყაროსა“ და ჩვენს მხარდამჭერებს შორის.



პროექტი ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას, მკითხველებისთვის ახალი გამოცემების გაცნობას, მოზარდების წიგნებთან დაბრუნებას, ზოგადად წიგნის მოყვარულთა რაოდენობის გაზრდას.

ვიმედოვნებთ რომ რეგიონებიდან ინტერესი მეტად გაიზრდება და უფრო მეტი ქალაქი გახდება ამ პროექტის მონაწილე. სამომავლოდ ვგეგმავთ არაერთ ნოვაციას: ახალი გამოცემებისა და კონკურსების პრეზენტაცია, ადგილობრივი ავტორების წარ-

ბოროჯონი 2010



დგენა-წახალისება, საბავშვო კონკურსივიქტორინა, მკითხველთა შეხვედრა წიგნის ავტორებთან და სხვ.



პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
 ავტორი: ვიქტორ ჰიუგო
 ელფის გამოცემლობა
 ანოტაცია: რომანში ტაძრის ირგვლივ ვითარდება XV საუკუნის პარიზის ცხოვრება, რომელიც ზოგადსაკაცობრიო პრობლემების, სიყვარულის, ცოდვისა და სიკვდილის გარშემო ტრიალებს. მწერალი ამ პრობლემების გათავისებაში რომ დაგვეხმაროს, რომანში სამი მთავარი გმირი შემოჰყავს: ულამაზესი ბოშა ქალი ესმერალდა, განათლებული, ლამაზი, მაგრამ გულცივი კლოდ ფროლო და მახინჯი, მაგრამ ლამაზი სულის ადამიანი, ტაძრის ზართაძრეკავი კვანძიძოლო. ამ სამი ადამიანისა და გარშემომყოფებთან ურთიერთობაში იკვთება რომანის იდეა, რომელიც მკითხველში ცეცხლს ანთებს, რადგანაც ჰიუგოს მეტმა ჯერ ვერაყინ შეძლო მშენებლების ასეთ სიმაღლემდე აყვანა სიმახინჯე და სიკეთის ზეიმი ამ გზით ეჩვენებინა. მაგარი გარეკანი, 296 გვერდი ღირს 15 ლარი



გულივერის მოგზაურობა
 ავტორი: ჯონათან სვიფტი
 ელფის გამოცემლობა
 ანოტაცია: ამ წიგნის პირველი გამოცემიდან ორ საუკუნეზე მეტი გავიდა. აღმოჩნდა კი ჭკუის სასწავლი სახელმძღვანელო ეს წიგნი? რას ემართლებოდა მართალი გულივერი თავისი დროის საზოგადოებას, რომელსაც ის ჯოგს უწოდებს? რაში სდებდა ბრალს თავის ხალხს? რა შეიცვალა მას შემდეგ ხალხის აზროვნებაში? ან საერთოდ, შეიცვალა კი? როგორ გაუძლო საუკუნეებს ნაწარმოებმა, რომელიც, როგორც ავტორი აცხადებს, ხალხის მოსაწონად კი არ დაწერა, არამედ მათ გამოსასწორებლად? შესაძლებელია კი ხალხის გამოსწორება? ამ უკვდავი წიგნის წაკითხვის შემდეგ ამ კითხვებზე პასუხებს გიონიერი მკითხველი თავად იპოვის. მაგარი გარეკანი, 200 გვერდი ღირს 15 ლარი



მონტესუმას ასული
 ავტორი: ჰენრი რაიდერ ჰაგარდი
 ელფის გამოცემლობა
 ანოტაცია: მსოფლიო ლიტერატურამ „მონტესუმას ასული“ აღიარა, როგორც საუკეთესო ისტორიული რომანი, რომელიც კი ოდესმე შექმნილა ისტორიულ-გეოგრაფიულ აღმოჩენათა მკობის თემაზე: ესპანეთის ინკვიზიციაზე, ინდიელთა ცხოვრებასა და თავისუფლებისთვის ბრძოლაზე... ამ რეალისტურ რომანში ინდიელებისა და ესპანელების დაპირისპირების პარალელურად ვითარდება არაჩვეულებრივი სიყვარულის ისტორია: მკვეთრად ისატება მშობლის, სამშობლოს, მეუღლის, შვილის და სიყვარულის რაობა. ეს წიგნი მკითხველს არა მარტო წარსულის ამბებს განაცდევინებს, არამედ დღევანდლობაზეც ბევრჯერ დააფიქრებს – მწერლის უკვდავებაც ხომ სწორედ ამაშია მაგარი გარეკანი, 272 გვერდი ღირს 15 ლარი



ქალთა ბედნიერება
 ავტორი: ემილ ზოლა
 ელფის გამოცემლობა
 ანოტაცია: „ქალთა ბედნიერება“ პარიზის უდიდესი ჰიპერმარკეტი, ზოლასდროინდელი საფრანგეთის საოცრება, რომელიც წვერილი მოვარებების ძვლებზე წარმოიშვა და, სადაც ყველაფერს მართავს და უფლებას ანიჭებს ძლიერებს, მთანქან სუსტები. მწერლის გენიალობა სწორედ იმაშია, რომ თემები, რომელსაც ის ამ რომანში გვთავაზობს, დღესაც აქტუალურია, დაკვირვებული მკითხველი რომანში არა მარტო ამ კითხვებზე პასუხს მოძებნის, არამედ თანამედროვე მარკეტინგისა და მენეჯმენტის მეთოდებსაც აღმოაჩენს და სათავისოდ გამოიყენებს. მაგარი გარეკანი, 296 გვერდი ღირს 15 ლარი



შეიძინე იხვარეხვით!

www.bookland.ge

ან შეუკვეთე ტელეფონით

ტელ: 61-41-21; 18-41-21


თბილისი, გურამიშვილის გამზ. 15



მოთხრობები
 ავტორი: მარკ ტუენი
 გამოქვეყნებულია: ლაბირინთი
 ანოტაცია: მარკ ტუენმა სახელი გაითქვა საბავშვო წიგნებით „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. არის ავტორი მრავალი მოთხრობისა, რომელთა ზუსტი რაოდენობა დღემდე არაა დადგენილი. ამ წიგნში გაეცნობით არაერთ საინტერესო მოთხრობას. მაგარი გარეკანი 180 გვერდი ღირს 14 ლარი



ქალი კამელიებით
 ავტორი: ალექსანდრე დიუმა (შეგლი)
 გამოქვეყნებულია: ლაბირინთი
 ანოტაცია: რომანში დიუმა აღწერს ახალგაზრდა კურტიზანის, მარგარიტა გოტიეს ტრაგიკულ ცხოვრებას. ამ პერსონაჟის შექმნა მწერალს შთააგონა ულამაზეს კურტიზან ქალითან, მარი დიუპლისისთან შეხვედრამ, რომელსაც მთელი პარიზი ეთაყვანებოდა და რომელთან ურთიერთობის საშუალებაც მწერალს არ ჰქონდა, ვინაიდან საკმარისად მდიდარი არ იყო. რომანი დაელო საფუძვლად ჯუზეპე ვერდის ცნობილ ოპერას „ტრავიატა“
 მაგარი გარეკანი 236 გვერდი ღირს 14 ლარი




შუანები
 ავტორი: ონორე დე ბალზაკი
 გამოქვეყნებულია: ლაბირინთი
 ანოტაცია: „შუანები, ანუ ბრეტანი 1799 წელს“ ბალზაკის პირველი რომანია, რომელიც 1829 წელს სათაურით „უკანასკნელი შუანი, ანუ ბრეტანი 1799 წელს“ გამოიცა. ნაწარმოებში ასახულია მე-18 საუკუნის საფრანგეთის ისტორიული ვითარება. ბრძოლა რესპუბლიკელებსა და როიალისტებს შორის. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები მოწინააღმდეგე მხარეების წარმომადგენლები არიან. მათ შეუყვარდებათ ერთმანეთი. თუმცა, საბოლოოდ, მათი სიყვარულიცა და სიცოცხლეც ინტრიგების მსხვერპლი ხდება.
 მაგარი გარეკანი 374 გვერდი ღირს 14 ლარი



www.bookland.ge
 შეუკვეთეთ
 ტელ.: 61-41-21; 18-41-21
 მის.: გურამიშვილის 15
 შეიძინე ინტერნეტით!




ბოლოსწინა
 ავტორი: ჯაბა ამირეჯიბი
 ანოტაცია: „პატიებას ვთხოვ ამ კრებულის მნახველთ თუ გადამოვადიერებელთ იმისთვის, რომ მან, შესაძლოა, თავისი დანიშნულება ვერ კი შეასრულოს იმ აბდაუბდობის გამო, რაც მე ამ წიგნს განზრახ შევძინე. მისი დანიშნულება, ჩემი ჩანაფიქრით, იყო და არის ის, რომ რამენაირად დამეტოვებინა ქართველი ერისთვის იმ ადამიანთა სახელები, ვისთანაც ვძმაცაცობდი და ვინც მეოცე საუკუნის საქართველოს შექმნაში უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღო“, – ჯაბა ამირეჯიბი
 მაგარი გარეკანი
 295 გვერდი
 ღირს 20 ლარი



ლექსები, პოემები
 ავტორი: ათაბ ქუთაბე
 გამომცემლობა: პეგასი
 ანოტაცია: წიგნში შესულია მწერლის პოემები და ლექსები
 მაგარი გარეკანი
 496 გვერდი
 ღირს 20 ლარი




ირატა.რუ
 ავტორი: გურამ მეგრელიძევილი,
 თამაზ დემეტრაშვილი
 გამომცემლობა: ალიანსი
 ანოტაცია: შექმნილ ისტორიაში ყველა გმირი, მოვლენა, სამხედრო სტრატეგია გამოზავნა და უკვე მომხდარის გათვალისწინებით შექმნილი ახალი რეალობაა, რომელიც სავესებით შესაძლებელია, მომხდარიყო კიდევ.
 რბილი გარეკანი
 208 გვერდი
 ღირს 9.90 ლარი



შარავანდელი – მარო მაყაშვილი
 ავტორი: ნანა ლვინეფაძე
 გამომცემლობა: პეგასი
 ანოტაცია: წიგნში მოცემულია ბიოგრაფიული ჩანაწერები და ფოტოები
 რბილი გარეკანი
 160 გვერდი
 ღირს 9.90 ლარი



მრუდე სარკეში
 ავტორი: რამაზ გიორგობიანი
 გამომცემლობა: საქართველოს მაცნე
 ანოტაცია: წიგნში გაეცნობთ ყველასათვის საყვარელი მსახიობისა და რეჟისორის სამწერლო შემოქმედებას. რბილი გარეკანი
 236 გვერდი
 ღირს 8.4 ლარი



მოგონებები, წერილები
 ავტორი: გრიგოლ აბაშიძე
 გამომცემლობა: პეგასი
 ანოტაცია: წიგნში მოგონებებთან ერთად თავმოყრილია ავტორის მიერ ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში დაწერილი წერილები, რომელთა უმეტესობა შექმნილია ავტორის სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში.
 რბილი გარეკანი
 160 გვერდი
 ღირს 5 ლარი

„წერო“ დაბრუნდა

მოამზადა მანანა ვარდიაშვილმა

ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისისა“ და წიგნის გამავრცელებელ კომპანია „წიგნის სამყაროს“ ფინანსური თანადგომით ქართულ ლიტერატურულ სივრცეს „წერო“ დაუბრუნდა. ორწლიანი გაუჩინარების შემდეგ ლიტერატურული კონკურსის – „წეროს“ დაბრუნებამ, დევიზი – „გინდა წერო? უნდა წერო!“ 104 მწერლისთვის ისევ აქტუალური გახდა: სწორედ ამდენი მოთხრობა მონაწილეობდა 2010 წლის შემოდგომის პროზაულ კონკურსში.



კონკურსის ფინალური ეტაპისთვის მოთხრობების შერჩევა შვიდკაციან ჟიურის დაევა: გურამ მეგრელიშვილს, ირაკლი ჯავახიძეს, ალექო ჯახუას, ბაჩო კვიციანი, შადიმან შამანაძეს, დავით ქართველიშვილს და შოთა იათაშვილს. შემდეგ კი მკითხველის ჯერი დადგა, – „წერო“ ლიტერატურულ კონკურსთა შორის ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც საუკეთესო ნაწარმოებებს მკითხველი ირჩევს.

„წეროს“ ფინალური ეტაპისთვის ჟიურიმ თერთმეტი მოთხრობა შეარჩია: „წითელი წიგნი, ანუ things you let go“; „დაკრძალვა“; „ბავშვობა, როგორც სინამდვილეში“; „სამკუთხედი“; „წითელი“; „Disappearance“;

„ბარონია“; „იობის წიგნი“; „მთაზე ასვლა“; „ოპერაცია „სქელი ტრაკი“ და „ლაბორატორია „კანდილო“.

ჟიურის მიერ შერჩეული მოთხრობები კონკურსის მეორე ეტაპზე ინტერნეტპორტალ literatura.ge-ზე გამოქვეყნდა. ვებგვერდზე განთავსებულ მოთხრობებს პორტალის ავტორიზებული მომხმარებლები „ცუდი“, „კარგი“ და „ძალიან კარგი“ კატეგორიების მიხედვით აფასებდნენ. თითოეულ კატეგორიაში მიღებული შეფასება შესაბამის ქულას გულისხმობს, ქულათა დაჯამების შემდეგ კი სამი საუკეთესო მოთხრობა ვლინდება.

წელს შემოდგომის „წეროს“ მთავარი პრიზი – ვერცხლის წერო და 2 000 ლარი, მოთხრობისთვის „ბავშვობა, როგორც სინამდვილეში“, მარიამ ბექაურმა მიიღო. მეორე ადგილი და 1 000 ლარი – მოთხრობისთვის „მთაზე ასვლა“ – ალექო ცქიტიშვილს ერგო, მესამე ადგილი და 500 ლარი კი თეა თოფურიას, მოთხრობისთვის „Disappearance“. სპეციალური პრიზები მიენიჭათ აგრეთვე რეზო ნასარიძეს, მოთხრობისთვის „იობის წიგნი“ და ლევან ფირცხალავას მოთხრობისთვის „ბარონია“.

„წეროს“ მთავარი მიზანი თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და ქართულ მწერლობაში ახალი ავტორების წარმოჩენაა. სწორედ ასეთი ახალი ავტორია მარიამ ბექაური, რომლის მოთხრობაც – „ბავშვობა, როგორც სინამდვილეში“ ბავშვობის სეკდიან მოგონებებს ეძღვნება.

ალექო ცქიტიშვილი ახალბედა მწერალი არ არის. ის ცნობილი ჟურნალისტი. „მთაზე ასვლა“ კი შვილთან ერთად და მისი თანამონაწილეობით შექმნა. „მთაზე

ასვლა“ არ არის კლასიკური გაგებით მოთხრობა, როგორც ზოგადად ჩვენებური მკითხველი წარმოიდგენს, როცა საქმე აქვს პროზაულ ტექსტთან. ეს არის ცნობიერების ნაკადისა და ასოციაციური თხრობის ტექნიკით შესრულებული ნაწარმოები, რომლის სიუჟეტი კლასიკური ვარიაციით არ ვითარდება. ნაწარმოების დაწერის იდეა ყოველდღიური ფრაზებიდან დაიბადა. გარშემო ხშირად ისეთი ფრაზები გვესმის, რომ გვინდა, დავიჭიროთ, ჩავინიშნოთ და ისტორიას შემოვუნახოთ. თითქმის ერთი წელი ვაგროვებდი ამ ფრაზებს – სხვადასხვა ასაკის, სქესის, შეხედულებების ადამიანებისგან შემთხვევით გაგონილს. ამის მერე დავიწყე ამ ფრაზებზე სხვადასხვა ამბების მიბმა და ნაწარმოების საერთო ხაზის, მიმართულების გამოკვეთა. საბოლოოდ, სიუჟეტურად, ისე გამოვიდა, რომ ტექსტის პერსონაჟს უძილობა აწუხებს – დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელი სენი, წვეს და სხვადასხვა დროს მოსმენილ ფრაზებს იხსენებს. ასე ცდილობს დაძინებას. ეს არის სულ სიუჟეტი, რომელსაც ამ ტექსტში ფორმალური ფუნქცია აკისრია. ფრაზიდან ფრაზაზე გადასვლით ივება ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები ქალაქური ცხოვრებიდან, რასაც პარალელურად მეორე სიუჟეტური ხაზი მისდევს – დიდმის ველზე და მიმდებარე გორაკებზე ორი ბიჭისა და მათი მამის მოგზაურობების შესახებ. ბავშვები ყველაზე მაღალ მთაზე ასვლისაკენ ისწრაფვიან.



წერო 2010-ის გამარჯვებული მარიამ ბექაური

ტექსტის წერისას ეფექტური ფინალის მოფიქრება გამიჭირდა და რომ არა ჩემი შეილის „თავისუფალი თემა“, რომელსაც მან მთაზე ასვლა დაარქვა, ვინ იცის, იქნებ ეს ტექსტი ახლა ჯერ კიდევ ჩემს სამუშაო კომპიუტერში ყოფილიყო დაუსრულებელი სახით. ამ თხზულებამ მიკარნახა ტექსტის სათაურიც. თვითონ ცოტენეს თხზულება კი ფაქტობრივად, უცვლელი სახით ჩასმულია ჩემს ტექსტში, როგორც ნაწარმოები ნაწარმოებში.

მე თვითონ „მთაზე ასვლით“ კმაყოფილი ვარ. მით უფრო, რომ მას ორი წელი ვწერდი, ისე, როგორც მწერლები წერენ ხოლმე სქელტანიან რომანებს. არსად არ მეჩქარებოდა. თუმცა, ასე წერა არც ისე იოლია – დიდ ნესბისყოფას და შრომას მოითხოვს“, – ამბობს ალექო ცქიტიშვილი.

თეა თოფურიაც ჟურნალისტიკა. მისი „Disappearance“ საგანგებოდ „წეროსთვის“ დაიწერა. „მოთხრობა, რომელიც „წეროზე“ წარვადგინე, სანახევროდ დოკუმენტურია. ის უგზოუკვლოდ დაკარგულ ადამიანებს ეხება. მე არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ. ამჟამად, სწორედ იმ პროექტში ვარ დასაქმებული, რომელიც უგზოუკვლოდ დაკარგულებზე აგროვებს ინფორმაციას. შეიძლება არც იცით, რომ საქართველოში 907 ასეთი ადამიანია, უმეტესობა, რა თქმა უნდა, ომში დაიკარგა. მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი, უამრავ ოჯახში ვიყავი და ყველგან ერთი და იგივე მძიმე მდგომარეობა დამხვდა. ცოლები,

შვილები, მშობლები 17 წლის წინ დაკარგულ ახლობლებს დღემდე ეძებენ. ეს ისეთი სიტუაციაა, როცა ძებნა და ლოდინი უაზრობა ხდება. მაგრამ, არც ის გამოდის, ადამიანი მკვლრად გამოაცხადო და შავები ჩაიცვა. ეს განსაკუთრებული კატეგორიაა, დაკარგულთა ახლობლები უფრო მეტად არიან დაზარალებულები, ვიდრე გარდაცვლილების, – ამბობს



„წიგნის სამყაროს“ წარმომადგენელი ზვიად სებისკვერაძე და გამარჯვებული მარიამ ბეჟაური

თეა, – „მოთხრობას ფონად მიჰყვება მითი ოდისევსზე. ოღონდ ამ შემთხვევაში მე სიუჟეტი სხვაგვარად განვაფიქრებ, ისე როგორც დღევანდელ რეალობაშია. ჩემთან პენელოპე კი არ იცდის, არამედ თავად ეძებს ოდისევსს და ყველა ის ხიფათი, რომელიც „ოდისეაში“ ოდისევსმა გამოიარა, ჩემთან პენელოპეს გადახდება თავს. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ, სამწუხაროდ, ახლა ქალი უფრო მიდის მამაკაცთან, ვიდრე მამაკაცი ქალთან.

„წეროს“ კონკურსი შარშან არ ჩატარებულა და არც წელს ველოდით. შესაბამისად, არ მქონდა რამე მოთხრობა გადადებული, რომ კონკურსზე წარმედგინა. „Disappearance“ სპეციალურად „წეროსთვის“ შევქმენი. იმის გამო, რომ ნაჩქარევად დავწერე, გამარჯვების იმედი მაინცდამაინც არ მქონდა, ამიტომ პრიზის აღება ორმაგად გამიხარდა“.

შემოდგომის „წერომ“ პრიზების გარეშე არც მკითხველები დატოვა. ყველაზე აქტიურმა მკითხველებმა წიგნის მალაზითა ქსელ „ლიბრასგან“ 100 და 50-ლარიანი ვაუჩერები მიიღეს.



www.bookland.ge

შეუკვეთეთ

ტელ.: 61-41-21; 18-41-21

მის.: გურამიშვილის 15

შეიძინე ინტერნეტით!

ბიბლია

სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „ბიბლი“ 3 წელია, რაც არსებობს. პირველი მაღაზია 2007 წლის დეკემბერში ავლაბარში გაიხსნა, ლვინის აღმართ №23-ში, მეორე მაღაზია კი, 2010 წლის დეკემბერში, ვაჟა-ფშაველას №17-ში. მაღაზია მომხარებლისთვის ღია 11 საათიდან 21 საათამდე.

ქსელი გამოირჩევა დაბალი ფასებითა და ფართო არჩევანით, და რაც მთავარია, კარგი



მომსახურებით. მაღაზიაში წარმოდგენილია ბავშვთა ასაკით გათვალისწინებული ყველა ტიპის სათამაშო. ასორტიმენტს, ჩვენი კლიენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, წიგნები შეემატა. გვაქვს საბავშვო, შემეცნებითი, სასაჩუქრე წიგნები. ყველა, ვინც ჩვენთან მოდის, ჩვენი მუდმივი მომხმარებელი ხდება.

მაღაზიათა ქსელის ხელმძღვანელი მარინე წულაძე აღნიშნავს, რომ სათამაშოების მაღაზიაში სათამაშოებთან ერთად ძალიან კარგად იყიდება წიგნები, რაც, ვფიქრობთ, ძალიან კარგია. ბესტსელერი გახდა ელფის გამოცემლობის წიგნები: ითამაშე და ისწავლე, ჩემი პირველი ასაწყობი ატლასი, ასევე დიდი მოთხოვნაა საბავშვო ენციკლოპედიებზე და ზღაპრებზე.

საახალწლოდ მაღაზიათა ქსელი ყველა მყიდველს უამრავ სიურპრიზს ჰპირდება. ყველას გირჩევთ, ესტუმროთ „ბიბლოს“ და შეიძინოთ თქვენთვის სასურველი საჩუქარი.

2010 წელი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების გამოცემებით გამოირჩეოდა. გამოცემლებმა მთელი სერიები შესთავაზეს მკითხველს. „საქართველოს მაცნემ“ გააგრძელა სერია – ოქროს ბიბლიოთეკა, „არეტემ“ – აუცილებელი საკითხავი. სიახლე გახლდათ ისიც, რომ წიგნების პრესასთან ერთად გაყიდვა დაიწყო. აქ საქმე გვაქვს წიგნების შედარებით იაფად შეძენის შესაძლებლობასთან, წიგნების პოლიგრაფიის დონე შედარებით დაბალია, (წიგნები რბილ გარეკანში და დაბალი ხარისხის ქაღალდზეა.) თუმცა გარდატეხა აქაც მოხდა, „პალიტრა L-მა“ მკითხველს წლის ბოლოს ახალი პროექტი (50 წიგნი, რომელიც სიცოცხლეში უნდა წაიკითხო) შესთავაზა, საზღვარგარეთ დაბეჭდილი მაგარ გარეკანში გამოცემული წიგნები საკმაოდ იაფად, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ძველი, ცენზურაგავლილი თარგმანები, რომლებიც ბოლო 50 წლის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე გამოიცა. მათ შორის ასევე მოხვდა რამდენიმე ქართული ათასწლეულის ბესტსელერიც. „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ“ პრესასთან ერთად გაყიდვაში გაუშვა სერია – კლასიკოსები მოზარდებისთვის; აქაც, ძირითადად, უკვე რამდენჯერმე გამოცემული წიგნებია შეყვანილი. ამ მხრივ ყველაზე მეტი წვლილი, ელფის გამოცემლობას მიუძღვის (მსოფლიოს ლიტერატურის კლასიკოსები), რომელმაც მკითხველს ახალი თარგმანები შესთავაზა. ამ მართონში ერთი ახალი გამოცემლობა – „ლაბირინთიც“ ჩაება (კლასიკა), რომელმაც წელს უკვე სამი წიგნი გამოსცა. მოკლედ, წიგნის სამყაროში ასეთი მარშით წიგნების კეთება დიდი ხანია აღარ ყოფილა. ამ ნომინაციაში ადგილები ასე განაწილდა:

I ერის მარია რემარკი „სამი მეგობარი“, სერია: მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები;

II ონორე დე ბალზაკი „შაგრენის ტყავი“, სერია: 50 წიგნი, რომელიც სიცოცხლეში უნდა წაიკითხო;

III გი დე მოპასანი „ლამაზი მეგობარი“, სერია: ოქროს ბიბლიოთეკა;




შემცენებითი წიგნები მოზარდებისთვის – 2009 წელთან შედარებით ბევრი სიახლე არ ყოფილა; ადგილები ასე განაწილდა:

I ჯაბა სამუშია „საქართველოს დიდი ბრძოლები“, ელფის გამოცემლობა

II ჰანს რაიჰარდტი „მსოფლიოს შვიდი საოცრება“, Teslof verlag

III ავტორთა ჯგუფი „მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია“, Makmilan publishing



ქართული თანამედროვე პროზა – აქ სამეულში ახალი წევრი გვყავს (ლევან ბერძენიშვილი), საკმაოდ მოულოდნელი გაყიდვების მაჩვენებლით; გამოცემული ისევ მხოლოდ ერთი, ეტყობა, კვლავ ვერ მიდიან რისკზე ავტორები ახალი კონტაქტები მოიძიონ:

I აკა მორჩილაძე „მოგზაურობა ყარაბაღში“

II დათო ტურაშვილი „ჯინსების თაობა“ და ლაშა ბულაძე „ლიტერატურული

ექსბრესი“

III ლეღან ბერძენიშვილი „წმინღა წყვღიღი“
ყვეღა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ქართული პოეზიღ – ნიკო გომეღაურის
გარღაცვღების შემდეგ მისი „უბის ლექსი“
გაყიდვების სოცარი ტემპით წელს პირველ
ადგილზეღ:

I ნიკო გომეღაური „უბის ლექსი“

II ოთარ ჭიღაძე „ლექსები ღა პოემები“, არეღე

III ანღ კღღანღაძე „გამომიბრწყინღი მიულწეველო“, პეღასი




თანამედროვე ქართული საბავშვო წიგნები – აქ ბევრი სიღხლე იყო, წელს რამღენიღე
გამომცემელი ერთდროულად გააქტიურღღა, ახღლი ავღტორებიც გამორღღენ:

I ოღღიღ იოსელიღნი „ღღღღის ზღღაპრები“, პღღიტრა L

II გოდერღი ღოხელი „ღღამიბრუნეღ ღემი ირმები“, გორგა

III გეღანცღ ვღღბავ „5 ბავშვი 5 თბიღისი“, ეღღის გამომცემლობღ




ენციკლოპეღიღ, აქ უპირობო ლიღერი ქართვეღების საყვარელი თემაღ:

I „კულინარიის ენციკლოპეღიღ“, ეღღის გამომცემლობღ

II „მსოფღიღის ზღღხთღ ანღღაზეღი ღღ გამონათქვამები“

III „აფორიზმების ენციკლოპეღიღ“, ოღღისი



მთღიღანობღში, გაყიდვების მხრივ, კვღავ საბავშვო შემეცნებითი წიგნები ლიღდრობს.
2010 წელს, ღვენი მონაცემებით, 300-ზე მეტი ახღლი წიგნი გამოიცღღ; აქეღღან გაყიდვღში
250-ზე მეტი მოზღღღღ. საგულისზღღიღ ის ფაქტიც, რომ 2009 წელღღან შეღღარებით წიგნების
გაყიდვები 15-20%-ით გაიზღღრღღღ.

ღვენი ჟღღრღღღის სახელიღ გიღღოცავთ შობღ-აღღღღ წელს!

ავღტორებსღ ღღ გამომცემღღებს კი ვუსურვებთ მეტი საინღტერესო წიგნის შეეკმღღნღსღ ღღ
გამოცემღს!



საგამომცემლო სახლი „ლაბირინთი“ დაარსდა 2010 წელს. გამომცემლობის ხემძღვანელი და მთავარი რედაქტორი ნათია ნაცვლიშვილია. გამომცემლობის ვებგვერდია: www.labybooks.ge.

გამომცემლობის დებიუტი რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, სერია „კლასიკით“ შედგა და მკითხველმა იგი ახალი წიგნებით გაიცნო: ონორე დე ბალზაკი – „შუანები“ (ფრანგულიდან თარგმნა ლიანა დარაშვილმა); ალექსანდრე დიუმა (შვილი) – „ქალი კამელიებით“ (ფრანგულიდან თარგმნა ზაალ ჩხეიძემ); მარკ ტვენი – მოთხრობები (ინგლისურიდან თარგმნეს ზაალ ჩხეიძემ, ლელა სამხიაშვილმა, ნანა დიხამინჯიამ).

„ლაბირინთის“ პრიორიტეტს წარმოადგენს, სხვადასხვა სერიის ფარგლებში, მკითხველისათვის მაღალი ლიტერატურული ღირებულებისა და ხელმისაწვდომი ფასის მქონე ლიტერატურული პროდუქტის შეთავაზება; ქართველი მკითხველისთვის მსოფლიოში აღიარებული ნაწარმოებების მიწოდება მშობლიურ ენაზე; თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების სინქრონიზაცია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან; ქართული მთარგმნელობითი სკოლის გაძლიერების ხელშეწყობა; მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და ახალგაზრდა მთარგმნელების სტიმულირება.


გამომცემლობის ხემძღვანელობაში აცხადებენ: „მუშაობის პროცესში უამრავ პრობლემას წავაწყდით, ამჟამად საქართველოში ცოტაა კვალიფიციური რედაქტორი, რომელიც თარგმანებზე იმუშავებს. გარდა ამისა, წიგნის დიზაინის თუ დაკაბადონების მხრივ ნაკლებად მოიძებნება პროფესიონალი კადრი, ამიტომ გვიწევს მოვამზადოთ ახალი და დავასაქმოთ“.

საგამომცემლო მოღვაწეობა „ლაბირინთმა“ სერია „კლასიკით“ დაიწყო, ვინაიდან სწორედ კლასიკა წარმოადგენს გემოვნებიანი მკითხველის ფორმირების ყველაზე მყარ საფუძველს. აღნიშნული სერიის ფარგლებში, უახლოეს მომავალში გამოიცემა ერიხ მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და თეოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“. ასევე, უილიამ ფოლკნერის, ჰერმან ჰესეს და სხვა მსოფლიო კლასიკოსთა ის ნაწარმოებები, რომელთა ქართულად კითხვის საშუალებაც მკითხველს დღემდე არ ჰქონია.

გამომცემლობაში კვლევების ჩავატარებას გეგმავენ: „გავითვალისწინებთ მკითხველთა აზრს და შევეცდებით ის ავტორები და ნაწარმოებები ვთარგმნოთ, რომლებიც მკითხველს ყველაზე მეტად აინტერესებს“.




5 ბავშვი 5 თბილისი
 ავტორი: გვანცა ჯორბავა
 გამომცემლობა: ელფი
 ანოტაცია: წიგნში
 მოთხრობილია 5 ბავშვის:
 ემიგრანტი ნიკუშას,
 ყარაჩოღელის სამოსიანი
 ლაზარეს, ჩოხოსანი
 გიორგის, ჭრელწინდებიანი
 მარიამის და უფლისწული
 დაჩის ზღაპრები
 მაგარი ვარეკანი
 44 გვერდი
 ღირს 8 ლარი



ჩემი პირველი ქრესტომათია
 ავტორი: სხვადასხვა
 გამომცემლობა: ელფი
 ანოტაცია: წიგნში შეტანილია
 ქართული და მსოფლიოს
 საბავშვო ლიტერატურის
 კლასიკოსების ნაწარმოებები.
 მასში გათვალისწინებულია
 ასაკობრივი შესაძლებლობები,
 ინტერესები და მისწრაფებები.
 მაგარი ვარეკანი
 196 გვერდი
 ღირს 18 ლარი



ჩემი პირველი ინგლისური ენის
 სახელმძღვანელო
 გამომცემლობა: ელფი
 ანოტაცია: სახალისო
 ილუსტრაციებით დაშმენებული,
 თემატურად დატვირთული და
 უახლესი მეთოდით შედგენილი
 ინგლისური ენის სახელმძღვანელო
 დაეხმარება თქვენს პატარას
 ადვილად დაიმასოვროს პირველი
 ინგლისური სიტყვები და
 წინადადებები
 44 გვერდი
 ღირს 14 ლარი




მსოფლიო ლიტერატურის
 კლასიკოსები ბავშვებისთვის
 ავტორი: სხვადასხვა
 გამომცემლობა: ელფი
 ანოტაცია: საქართველოში
 პირველად გამოდის მსოფლიოს
 კლასიკოსთა ადაპტირებული
 ნაწარმოებები ერთ წიგნად,
 რომელიც გათვალისწინებულია
 8-დან 12 წლამდე ასაკის
 ბავშვებისთვის. ხალისიანი
 ილუსტრაციებით გაფორმებული
 მარტივი ტექსტების წაკითხვის
 შემდეგ, იძვდს ვიტოვებით, რომ
 ბავშვები მომავალში აუცილებლად
 წაიკითხავენ ამ ნაწარმოებების
 სრულ ვერსიას.
 208 გვერდი
 ღირს 16 ლარი



ქართული ლიტერატურის
 კლასიკოსები ბავშვებისთვის
 ავტორი: სხვადასხვა
 გამომცემლობა: ელფი
 ანოტაცია: ამ წიგნში, რომელიც
 გათვალისწინებულია 8-დან 12
 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის,
 შეტანილია ქართველ კლასიკოსთა
 ნაწარმოებები
 208 გვერდი
 ღირს 16 ლარი


www.bookland.ge



მეცამატე
 ავტორი: დათო ტუშაშვილი
 გამოქვეყნდა: სიესტა ანოტაცია: მწერალ დათო ტუშაშვილის მეცამეტე წიგნი, მისი ძველი და ახალი, დოკუმენტური და მხატვრული პროზის კრებულია რბილი გარეკანი 164 გვერდი ღირს 9 ლარი




წმინდა წვედიანი
 ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
 გამოქვეყნდა: ბაკურ სულაკაური ანოტაცია: „ბევრი რამ გადამხდენია, მაგრამ საკუთარ თავზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე დაპატიმრების ოთხწლიან მოლოდინსა და თავისუფლების სამწლიან აღკვეთას მოუხდენია. მე კალაში ავიღე არა მხატვრული წიგნის დასაწერად ან დაკარგული დროის დასაბრუნებლად, არამედ დაკარგვადი პერსონაჟების გადასარჩენად, რადგან თუ ეს პერსონაჟები დაიკარგებიან, მეც დავიკარგები, და ვიღაც შეცდომით იფიქრებს, რომ მართლა მიცნობდა, რაკი ჩემს რომელიმე ლექციას დასწრებია, ტელევიზიით ჩემი გამოსვლა უნახავს ან ინტერვიუ წაუკითხავს“, – ლევან ბერძენიშვილი რბილი გარეკანი 268 გვერდი ღირს 7.90 ლარი



მოგონებები, წერილები
 ავტორი: გიორგი აბაშიძე
 გამოქვეყნდა: პეგასი ანოტაცია: წიგნში მოგონებებთან ერთად თავმოყრილია ავტორის მიერ ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში დაწერილი წერილები, რომელთა უმეტესობა შექმნილია ავტორის სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში. რბილი გარეკანი 160 გვერდი ღირს 5 ლარი



საქართველოს სამოთხე
 ავტორი: ვობრონი (მისხალი) საბინინი
 გამოქვეყნდა: დიადემა ანოტაცია: „საქართველოს სამოთხე“ არის 128 წლის წინ ივერიელი, ვობრონი საბინინის (საბინაშვილის) მიერ შედგენილი წიგნი, იგივე „სრული აღწერა ილუწლთა და ენებთა საქართუელის წმიდათა“, ანუ იმ დროისათვის წმინდანად შერაცხულთა ცხოვრება. მ. საბინაშვილი თანამედროვე მორწმუნეთათვის ცნობილია, როგორც მშვენიერი ხატის „საქართველოს დიდების“ შემქმნელი, მაგრამ დღემდე ცოტამ თუ იცის, რომ ის ასევე ამ დიდებული წიგნის ავტორიცაა. მაგარი გარეკანი 600 გვერდი ღირს 100 ლარი



მარკო პოლო: გენეციდან შორეულ აღმოსავლეთამდე
 ავტორი: კლინტ ტვისტი
 გამოქვეყნდა: ლოგოს პრესი
